



N 21/4945  
01/09/2022

4945-21-2-202209011616



მოქალაქე ქალბატონ მარიამ ტაკიძეს  
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N20, ბ..65  
ელ.ფორტა: [xxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxx@xxxxxx.xx](mailto:xxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxx@xxxxxx.xx)  
ტელ: 574 07 07 24  
პ/ნ: 61001077141

ქალბატონო მარიამ,

თქვენი 2022 წლის 11 აგვისტოს N 4003 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საჯარო ინფორმაციის გაცემას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ 2020 წელს ქალაქ ფოთის მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ამომრჩეველთა პეტიცია), ქალაქ თბილისში მარშალ გელოვანის გამზირი N6-ში განთავსებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგური 2020 წლის 20 ივლისიდან გადაყვანილი იქნა ქალაქ ფოთში და განთავსებული იქნა ჯავახიშვილის ქუჩაზე. შესაბამისად, უკვე ამ დროიდან, ქალაქ ფოთის ჯავახიშვილის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კანონით დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში, თანმიმდევრულად და უწყვეტ რეჟიმში ახორციელებდა შესაბამის ღონისძიებებს, კერძოდ აღნიშნულ ლოკაციაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს.

პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, ქალაქ ფოთში სააგენტოს სპეციალისტების ვიზიტებისას, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის, მოსახლეობისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის დეტალურად ხდებოდა განმარტება სადგურზე მიმდინარე პროცესებისა და მონაცემების შესახებ. ასევე, მათ ადგილზე ჰქონდათ საშუალება დაესურათებიან სადგურში მიმდინარე პროცესები.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კუთვნილ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატურ სადგურზე, 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის მონიტორინგი. კერძოდ: სადგურის საშუალებით ავტომატურ რეჟიმში ისაზღვრებოდა შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: ნახშირბადის მონოქსიდი (CO), გოგირდის დიოქსიდი

(SO<sub>2</sub>), აზოტის ოქსიდები (NO<sub>2</sub>, NO NO<sub>x</sub>), ოზონი (O<sub>3</sub>), მყარი ნაწილაკები (PM<sub>10</sub> და PM<sub>2.5</sub>). ასევე, მეტეოროლოგიური პარამეტრები (ქარის სიჩქარე, მიმართულება, წნევა, ტენიანობა). მიღებული შედეგების ანგარიშგებას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №383 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები“-თ, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტებს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სადგურის ფუნქციონირების პერიოდში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ყოველდღიურ რეჟიმში ყველა დაინტერესებულ მხარეს ეგზავნებოდა სადგურიდან მიღებული მონაცემები

ქ. ფოთში სადგურის განთავსების დღიდან არაერთხელ იქნა განმარტებული ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომ გადაუდებელ აუცილებლობას და საჭიროებას წარმოადგენს, სადგურის პერიოდული ტექნიკური დათვალიერება, დაკალიბრება და სადგურის სათანდო ფუნქციონირებისათვის შესაბამისი სამუშაოების/მომსახურებების გაწევა, სადგურზე განთავსებული აირ ანალიზატორების სახელმძღვანელოების მიხედვით. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში არსებითად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს მხრიდან, კანონმდებლობის შესაბამისად, პროცესი მიმდინარეობდა თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, აღნიშნული მომსახურებების/დონისძიებების განხორციელების პროცესს თავად მოსახლეობამ შეუშალა ხელი და შექმნა წინააღმდეგობა. რამაც საბოლოოდ განაპირობა ის, რომ აღნიშნული სადგური დანიშნულებისამებრ ვეღარ ფუნქციონირებდა. კერძოდ: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმართველობის მხრიდან არაერთი თხოვნის და მცდელობის მიუხედავად, მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო მონაცემთა სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით სადგურზე ტექნიკური დათვალიერება და სერვისული მომსახურება სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად ვერ განხორციელდა. ამასთან, სადგურზე განთავსებული აირ ანალიზატორების დისტანციური დათვალიერებით დგინდებოდა, რომ ისინი დეკემბრის თვიდან უკვე ფუნქციონირებდნენ ე.წ. “warning” (გაფრთხილების) რეჟიმში, შესაბამისად ქალაქ ფოთში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგურის მიერ მოწოდებულ მონაცემებს სააგენტო ვეღარ განიხილავდა სანდოდ, რის შესახებ ასევე არაერთხელ ეცნობათ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და ყველა დაინტერესებულ პირს. ამასთან, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად გაიზარდა მობილურ სადგურზე განთავსებული ძვირადღირებული აირ ანალიზატორების დაზიანების რისკი, აღნიშნულიდან გამომდინარე 2021 წლის 22 იანვარს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მხრიდან ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციით შესაძლებელი გახდა ჯავახიშვილის ქუჩაზე განთავსებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის მობილური ავტომატური სადგურის გამორთვა. სადგური საჭიროებს ტრანსპორტირებას ქალაქ თბილისში და დეტალური დიაგნოსტიკის ჩატარებას.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

